

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №526

2014 წლის 1 სექტემბერი

ქ.თბილისი

კონკურენციის შემზღვეველი შეთანხმების აკრძალვიდან ჯგუფური გამონაკლისების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ნოემბრის დადგენილება №661 – ვებგვერდი, 05.11.2020წ.
საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 დეკემბრის დადგენილება №463 - ვებგვერდი, 30.12.2024წ.

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტისა და „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „კონკურენციის შემზღვეველი შეთანხმების აკრძალვიდან ჯგუფური გამონაკლისები“.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ნოემბრის დადგენილება №661 – ვებგვერდი, 05.11.2020წ.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 დეკემბრის დადგენილება №463 - ვებგვერდი, 30.12.2024წ.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2015 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ლარიბაშვილი

კონკურენციის შემზღვეველი შეთანხმების აკრძალვიდან ჯგუფური გამონაკლისები

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ნოემბრის დადგენილება №661 – ვებგვერდი, 05.11.2020წ.
საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 დეკემბრის დადგენილება №463 - ვებგვერდი, 30.12.2024წ.

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. მიზანი

1. კონკურენციის შემზღვეველი შეთანხმების აკრძალვიდან ჯგუფური გამონაკლისების (შემდგომში – გამონაკლისები) შესახებ დადგენილება განსაზღვრავს გამონაკლისებს ისეთი შეთანხმებებიდან, რომლებიც ზღუდავს კონკურენციას შესაბამის ბაზარზე.

2. დადგენილების მიზანია, გამორიცხოს ისეთი შეთანხმების აკრძალვა, რომელიც ხელს უწყობს წარმოების ან/და მიწოდების გაუმჯობესებას, ტექნიკურ-ეკონომიკურ პროგრესს, ამასთანავე, უზრუნველყოფს მომხმარებელთა კეთილდღეობის ზრდას.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ნოემბრის დადგენილება №661 – ვებგვერდი, 05.11.2020წ.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 დეკემბრის დადგენილება №463 - ვებგვერდი, 30.12.2024წ.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ დადგენილების მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) კონკურენციის შემზღვეველი შეთანხმება – „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონი) მე-7 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულება, გადაწყვეტილება და შეთანხმებული ქმედება;

ბ) დისტრიბუტორი – ნებისმიერი ეკონომიკური აგენტი, რომელიც შეისყიდის ვერტიკალური შეთანხმების საგანს (საქონელი ან მომსახურება), მისი შემდგომი საბითუმო ან საცალო გაყიდვის მიზნით. ასევე ეკონომიკური აგენტი, რომელიც ყიდის ვერტიკალური შეთანხმების საგანს მიმწოდებლის სახელით როგორც საცალო, ისე საბითუმო დისტრიბუციის დონეზე;



გ) არამატერიალური სიკეთე - სასაქონლო ნიშნები, „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ საქართველოს კანონით, ან საქართველოს საპატენტო კანონით დაცული სიკეთეები, აგრეთვე, ნოუ ჰაუ;

დ) შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემა – სადისტრიბუციო სისტემა, სადაც მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, მიყიდოს ვერტიკალური შეთანხმების საგანი (საქონელი ან მომსახურება) როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ, მხოლოდ იმ დისტრიბუტორებს, რომლებიც შერჩეულნი არიან მის მიერ წინასწარ დადგენილი გონივრული და ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე. ამასთან, ეს უკანასკნელნი იღებენ ვალდებულებას, მიმწოდებლის მიერ განსაზღვრულ ტერიტორიაზე არ მიყიდონ საქონელი ან არ გაუწიონ მომსახურება იმ დისტრიბუტორებს, რომლებიც არ არიან შერჩეულნი მიმწოდებლის მიერ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად;

ე) ნოუ ჰაუ - პატენტის ან მსგავსი სამართლებრივი ინსტიტუტებით დაუცველ ისეთ ინფორმაციულ სიკეთეთა ერთობლიობა, ან პრაქტიკული ცოდნა, რომელიც მიმწოდებელს დაუგროვდა გამოცდილებით, ან ცდებით და რომელიც არის საიდუმლო, ავთენტური და იდენტიფიცირებადი.

ვ) კვლევა და განვითარება – საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს საქონლის, ტექნოლოგიების ან პროცესების შესახებ ნოუ-ჰაუს მიღებას, თეორიულ ანალიზს, სისტემატურ შესწავლას ან ექსპერიმენტების ჩატარებას, მათ შორის, საპილოტე და საჩვენებელ წარმოებას, საქონლის ან პროცესების ტექნიკურ გამოცდას, საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნას საჩვენებელი მასშტაბით და მიღებულ შედეგებზე ინტელექტუალური საკუთრების უფლებების მოპოვებას;

ზ) კვლევისა და განვითარების შესახებ შეთანხმება – შეთანხმება, რომელიც დადებულია ორ ან მეტ ეკონომიკურ აგენტს შორის და რომელიც მოიცავს რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევას:

ზ.ა) სახელშეკრულებო საქონლის ან ტექნოლოგიების ერთობლივი კვლევა და განვითარება, რომელიც მოიცავს ან არ მოიცავს მისი შედეგების ერთობლივ გამოყენებას;

ზ.ბ) სახელშეკრულებო საქონლის ან ტექნოლოგიების დაკვეთით განხორციელებული კვლევა და განვითარება, რომელიც მოიცავს ან არ მოიცავს მისი შედეგების ერთობლივ გამოყენებას;

ზ.გ) სახელშეკრულებო საქონლის ან ტექნოლოგიების ერთობლივი გამოყენება, შესრულებული წინასწარი შეთანხმების შესაბამისად, რომელიც ექვემდებარება ამ პუნქტის „ზ.ა“ ან „ზ.ბ“ ქვეპუნქტს იმავე მხარეებს შორის.

2. ამ დადგენილებაში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვთ კანონით განსაზღვრული მნიშვნელობა.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ნოემბრის დადგენილება №661 – ვებგვერდი, 05.11.2020წ.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 დეკემბრის დადგენილება №463 - ვებგვერდი, 30.12.2024წ.

მუხლი 3. გამონაკლისებისადმი მიკუთვნების გამორიცხვა

ეს დადგენილება არ ვრცელდება და კონკურენციის შემზღვეველი შეთანხმებების გამონაკლისისადმი მიკუთვნება დაუშვებელია, თუ განსახილველი შეთანხმება გულისხმობს მხარეთა შეთანხმებას:

ა) შესყიდვის ან გაყიდვის ფასის ან სხვა სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენის (ფიქსირების) შესახებ;

ბ) ბაზრების ან მიწოდების წყაროების მომხმარებლის, ტერიტორიული ან სხვა ნიშნით განაწილების შესახებ.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ნოემბრის დადგენილება №661 – ვებგვერდი, 05.11.2020წ.

მუხლი 4. გამონაკლისისადმი მიკუთვნების წინაპირობები

საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, შეთანხმებაზე არ ვრცელდება კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული აკრძალვა, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ წინაპირობებს:



ა) ხელს უწყობს წარმოების ან/და მიწოდების გაუმჯობესებას, ტექნიკურ - ეკონომიკურ პროგრესს, ამასთანავე, ხელს უწყობს მომხმარებელთა კეთილდღეობის ზრდას;

ბ) შეთანხმების მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს არ უწევს შეზღუდვებს, რომლებიც დაკავშირებული არ არის ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მიზნების მიღწევასთან;

გ) ეკონომიკურ აგენტებს საშუალებას არ აძლევს, აღკვეთონ კონკურენცია შესაბამისი ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილზე;

დ) ექცევა ამ დადგენილების მე-5 მუხლით განსაზღვრულ შეთანხმებათა ჯგუფებში.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ნოემბრის დადგენილება №661 – ვებგვერდი, 05.11.2020წ.

მუხლი 5. გამონაკლისებისადმი მიკუთვნებულ შეთანხმებათა ჯგუფები

1. ეს დადგენილება ვრცელდება იმ ვერტიკალურ შეთანხმებებზე, რომლებიც გულისხმობს:

ა) შეთანხმებას დისტრიბუტორ ეკონომიკურ აგენტთა შორის;

ბ) შეთანხმებას ავტოტრანსპორტის სექტორში მოქმედ ეკონომიკურ აგენტთა შორის.

2. ჰორიზონტალური ან/და ვერტიკალური ხელშეკრულებების შემთხვევაში, დადგენილება ვრცელდება:

ა) ტექნოლოგიური ტრანსფერის შესახებ ხელშეკრულებაზე;

ბ) სპეციალიზაციის შესახებ ხელშეკრულებაზე;

გ) კვლევისა და განვითარების შესახებ შეთანხმებაზე.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ნოემბრის დადგენილება №661 – ვებგვერდი, 05.11.2020წ.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 დეკემბრის დადგენილება №463 - ვებგვერდი, 30.12.2024წ.

თავი II

ვერტიკალური შეთანხმება დისტრიბუტორ ეკონომიკურ აგენტებს შორის

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ნოემბრის დადგენილება №661 – ვებგვერდი, 05.11.2020წ.

მუხლი 6. შეთანხმება დისტრიბუტორ ეკონომიკურ აგენტთა შორის

1. კანონის მე-7 მუხლით დაწესებული შეზღუდვები არ ვრცელდება ეკონომიკურ აგენტთა ისეთ ვერტიკალურ შეთანხმებებზე, რომლებიც იწვევს კონკურენციის შეზღუდვას და აკმაყოფილებს ამ დადგენილების მე-4 მუხლითა და ამ თავით განსაზღვრულ წინაპირობებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული გამონაკლისით სარგებლობა ეკონომიკურ აგენტებს შეუძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეები წარმოადგენენ დისტრიბუტორებს და, ამავდროულად, თითოეული მათგანის წლიური ერთობლივი შემოსავალი (ურთიერთდამოკიდებულ პირებთან ერთად) ბოლო საფინანსო წლის განმავლობაში არ აღემატება 15 000 000 ლარს და ასევე შეთანხმების მონაწილე ეკონომიკური აგენტები არ არიან კონკურენტი ეკონომიკური აგენტები კანონის შესაბამისად.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით დაწესებული გამონაკლისი ვრცელდება ვერტიკალურ შეთანხმებებზე, რომლებიც გულისხმობს არამატერიალურ სიკეთეთა გადაცემას ან ამ სიკეთეებით საერთო სარგებლობას.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით დაწესებული გამონაკლისით სარგებლობა შეუძლიათ ეკონომიკურ აგენტებს, თუ შეთანხმების ერთ მხარეს წარმოადგენს მწარმოებელი, რომელიც ვაჭრობის უფლების დელიგირებას ახდენს ერთ ან რამდენიმე ეკონომიკურ აგენტზე და, ამავდროულად, აშკარაა, რომ ეს



უკანასკნელი ვაჭრობის უფლების განხორციელებით მოქმედებენ მწარმოებლის ინტერესებისათვის.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ნოემბრის დადგენილება №661 – ვებგვერდი, 05.11.2020წ.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 დეკემბრის დადგენილება №463 - ვებგვერდი, 30.12.2024წ.

მუხლი 7. დისტრიბუტორ ეკონომიკურ აგენტთა შორის დადებული შეთანხმების გამონაკლისისადმი მიკუთვნების გამომრიცხავი გარემოებები

1. ამ დადგენილების მე-6 მუხლით მინიჭებული უფლებით ვერ ისარგებლებენ ეკონომიკური აგენტები, რომელთა შორის დადებული შეთანხმება გულისხმობს:

ა) კონკურენციის პირდაპირ ან ირიბ შეზღუდვას დაუზუსტებელი ვადით ან დაზუსტებული ვადის შემთხვევაში – 5 წელზე მეტი ვადით;

ბ) მხარისთვის პირდაპირ ან ირიბ აკრძალვას, შეთანხმების მოქმედების დასრულების შემდგომ, განხორციელოს გარკვეული საქონლის ან/და მომსახურების დამზადება ან გაყიდვა;

გ) მხარისთვის პირდაპირ ან ირიბ აკრძალვას, მის სისტემაში შეისყიდოს ან გაყიდოს სხვა, მიმწოდებლის კონკურენტი ეკონომიკური აგენტის პროდუქცია/მომსახურება იმ შემთხვევაშიც, როდესაც შეთანხმების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემის წევრი;

დ) მხარისათვის ტერიტორიული ან მომხმარებელთა ან სხვა ნიშნით შეზღუდვების დაწესებას, გარდა:

დ.ა) შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემის წევრისათვის შეზღუდვის დაწესებისა, მიჰყიდოს საქონელი ან მომსახურება ეკონომიკურ აგენტს, რომელიც არ აკმაყოფილებს ამ სადისტრიბუციო სისტემის წევრობისთვის საჭირო მოთხოვნებს;

დ.ბ) ექსკლუზიურ ტერიტორიაზე ან ექსკლუზიურ მომხმარებელთა ჯგუფზე აქტიური გაყიდვების შეზღუდვისა, რომელიც მიმწოდებელს რეზერვირებული აქვს თავისთვის ან გამოყოფილი აქვს სხვა მყიდველისთვის;

დ.გ) მყიდველის უნარის შეზღუდვისა, გაყიდოს კომპონენტები, რომლებიც მიეწოდება სისტემის ერთიანობის მიზნებისათვის იმ მომხმარებლებს, რომლებსაც მათი გამოყენება სურთ იმავე საქონლის საწარმოებლად, რომელსაც აწარმოებს მიმწოდებელი;

დ.დ) მიმწოდებლის მიერ მყიდველისთვის შეზღუდვის დაწესებისა, რომელიც გულისხმობს მყიდველის მხრიდან საბოლოო მომხმარებლისთვის საცალო მყიდვის აკრძალვას იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი წარმოადგენს საბითუმო მოვაჭრეს;

ე) შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემის საცალო ვაჭრობის დონეზე მოქმედი წევრისათვის აკრძალვის დაწესებას მომხმარებლის საბოლოო რგოლისათვის საქონლის ან მომსახურების მიყიდვასთან დაკავშირებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი აკრძალვა ეხება ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვას შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემის გარეთ;

ვ) ჯვარედინი მიწოდების შეზღუდვას შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემის დისტრიბუტორებს შორის, იმ დისტრიბუტორების ჩათვლით, რომლებიც მოქმედებენ ვაჭრობის სხვადასხვა დონეზე.

2. ამ დადგენილების მიზნებისთვის, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევადად ითვლება ასევე მხარეთა შეთანხმება დუმილზე, როგორც აქცეპტის ფორმაზე, 5 წლის შემდეგ შეთანხმების უვადოდ გაგრძელებასთან დაკავშირებით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოებები არ ჩაითვლება გამონაკლისისადმი მიკუთვნების გამომრიცხავად, თუ შეთანხმებით ერთი მხარის მიერ მეორისთვის დაწესებული აკრძალვა:

ა) აუცილებელია, რათა დაცულ იქნეს მიმწოდებლის მიერ შეთანხმების მეორე მხარისთვის შეთანხმების ფარგლებში გადაცემული ნოუ ჰაუ;



ბ) ვრცელდება მაქსიმუმ ერთი წლით შეთანხმების მოქმედების დასრულებიდან;

გ) ვრცელდება მხოლოდ იმ საქონელზე ან მომსახურებაზე, რომელიც შეთანხმების საგანს წარმოადგენს და რაზეც მიმწოდებელს/მწარმოებელს ექსკლუზიური უფლებამოსილება გააჩნია;

დ) ვრცელდება მხოლოდ იმ უძრავ ქონებაზე, რომელსაც მეორე მხარე შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის იყენებდა.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ნოემბრის დადგენილება №661 – ვებგვერდი, 05.11.2020წ.

მუხლი 8. ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილის განსაზღვრა

1. ამ დადგენილების მე-6 მუხლით განსაზღვრული შეთანხმებების განხილვისას, ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილად ითვლება შესაბამისი ბაზრის 30%.

2. მიმწოდებლის მიერ დაკავებული შესაბამისი ბაზრის წილის განსაზღვრა ხორციელდება მხოლოდ იმ პროდუქციულ საზღვრებში, რომლებიც შედგება შეთანხმების მეორე მხარისათვის მიწოდებული პროდუქციისგან.

3. ბაზარზე დაკავებული წილების განსაზღვრა უნდა მოხდეს ბოლო საფინანსო წლის მონაცემების საფუძველზე.

4. იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმების დადების მომენტში კონკურენცია იზღუდება შესაბამისი ბაზრის არაუმეტეს 30%-ზე და შეთანხმების მოქმედების პერიოდში მისი მოცულობა გაიზარდება 40%-მდე, ამ თავით გათვალისწინებული დებულებების მოქმედების ხასიათი და ამ დებულებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი უცვლელი რჩება.

5. იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმების დადების მომენტში კონკურენცია იზღუდება შესაბამისი ბაზრის არაუმეტეს 30%-ზე და შეთანხმების მოქმედების პერიოდში მისი მოცულობა გადააჭარბებს 40%-ს, ამ თავით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი უცვლელი რჩება ამ ზღვრის გადაჭარბების მომენტიდან ერთი წლის განმავლობაში. ერთი წლის გასვლის შემდგომ, ასეთ შეთანხმებაზე გავრცელდება კანონის მე-7 მუხლით დაწესებული აკრძალვები.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ნოემბრის დადგენილება №661 – ვებგვერდი, 05.11.2020წ.

მუხლი 9. ეკონომიკურ აგენტთა წლიური ერთობლივი შემოსავალი

1. ამ დადგენილების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული წლიური ერთობლივი შემოსავალი დაიანგარიშება შეთანხმების მონაწილე და მათი ურთიერთდამოკიდებული ეკონომიკური აგენტების ბოლო ერთი წლის ერთობლივი შემოსავლის მოცულობათა ჯამით. ამასთან, წლიური ერთობლივი შემოსავლის მოცულობაში არ გაითვალისწინება ვერტიკალური შეთანხმების მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს ან მათ ურთიერთდამოკიდებულ ეკონომიკურ აგენტებს შორის დადებული შეთანხმებები.

2. იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმების მონაწილე ეკონომიკური აგენტები შეთანხმების დადების მომენტისთვის აკმაყოფილებდნენ ამ დადგენილების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს წლიურ ერთობლივ შემოსავალთან დაკავშირებით და ამ ზღვარს მომდევნო ორი საფინანსო წლის განმავლობაში 10%-ით არ გადააჭარბებენ, ამავე დადგენილებით გათვალისწინებული გამონაკლისები რჩება უცვლელი.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ნოემბრის დადგენილება №661 – ვებგვერდი, 05.11.2020წ.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 დეკემბრის დადგენილება №463 - ვებგვერდი, 30.12.2024წ.

თავი III

ვერტიკალური შეთანხმებები ავტოსატრანსპორტო სფეროში მოქმედ ეკონომიკურ აგენტთა შორის

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ნოემბრის დადგენილება №661 – ვებგვერდი, 05.11.2020წ.

მუხლი 10. ვერტიკალური შეთანხმება ახალი ავტოსატრანსპორტო საშუალების ყიდვის, გაყიდვის ან



შემდგომ რეალიზაციასა და მომსახურებასთან დაკავშირებით

1. კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვები არ ვრცელდება იმ ვერტიკალურ შეთანხმებებზე, რომლებიც უკავშირდება ახალი ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების სათადარიგო ნაწილების ყიდვას, გაყიდვასა და შემდგომ რეალიზაციას, ასევე ავტოსატრანსპორტის რემონტისა და ტექნიკური მომსახურების უზრუნველყოფას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისით მოსარგებლე ეკონომიკური აგენტები უნდა აკმაყოფილებდნენ ამ დადგენილების მე-2 თავით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, გარდა დისტრიბუციასთან დაკავშირებული მოთხოვნებისა და არ უნდა არსებობდეს ამ დადგენილების მე-11 მუხლით განსაზღვრული გამომრიცხავი გარემოებები.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ნოემბრის დადგენილება №661 – ვებგვერდი, 05.11.2020წ.

მუხლი 11. ავტოსატრანსპორტო საშუალებების რეალიზაციისა და მომსახურების სფეროში დადებული შეთანხმების გამონაკლისისადმი მიკუთვნების გამომრიცხავი გარემოებები

ეკონომიკური აგენტები, მიუხედავად შესაბამის ბაზარზე მათ მიერ დაკავებული წილებისა და მათი წლიური ერთობლივი შემოსავლის მოცულობისა, ვერ ისარგებლებენ ამ დადგენილების მე-10 მუხლით განსაზღვრული გამონაკლისით, თუ ეკონომიკური აგენტები შეთანხმების დადებით პირდაპირ ან არაპირდაპირ მიზნად ისახავენ:

ა) ავტოსატრანსპორტო საშუალებების სათადარიგო ნაწილების მიყიდვის აკრძალვას იმ დამოუკიდებელი ავტოსატრანსპორტო სახელოსნოებისათვის, რომლებიც ამ ნაწილებს იყენებენ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა შეკეთების ან მათი ტექნიკური მომსახურების უზრუნველყოფისათვის;

ბ) მწარმოებლის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალების წარმოებისთვის საჭირო პირველადი ავტონაწილების მიმწოდებლისათვის ისეთი პირობების დაწესებას, რაც უკრძალავს ამ უკანასკნელს, ნათლად და გარკვევით განათავსოს მისი სავაჭრო ან სხვა მაიდენტიფიცირებელი ნიშანი მიწოდებულ ავტონაწილზე.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ნოემბრის დადგენილება №661 – ვებგვერდი, 05.11.2020წ.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 დეკემბრის დადგენილება №463 - ვებგვერდი, 30.12.2024წ.

თავი IV

ხელშეკრულებები ტექნოლოგიური ტრანსფერის შესახებ

მუხლი 12. ტექნოლოგიური ტრანსფერის შესახებ ხელშეკრულების ცნება

1. ტექნოლოგიური ტრანსფერის შესახებ ხელშეკრულებად განიხილება ორ ეკონომიკურ აგენტს შორის დადებული ისეთი ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე მეორეს გადასცემს ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ სალიცენზიო უფლებებს იმ მიზნით, რომ ამ უკანასკნელმა თვითონ აწარმოოს ამ სალიცენზიო უფლებებთან დაკავშირებული პროდუქცია. ამავედროულად, ეს ხელშეკრულება აკმაყოფილებს ამ დადგენილების მე-4 მუხლითა და ამ თავით განსაზღვრულ წინაპირობებს.

2. ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ სალიცენზიო უფლებებს წარმოადგენს:

ა) პატენტები;

ბ) რეგისტრირებული დიზაინი;

გ) ტოპოგრაფიები;

დ) ნოუ ჰაუ.

მუხლი 13. ტექნოლოგიური ტრანსფერის შესახებ ხელშეკრულების გამონაკლისისადმი მიკუთვნება



1. კანონის მე-7 მუხლით დაწესებული აკრძალვები არ ვრცელდება ეკონომიკურ აგენტთა შორის დადებულ ხელშეკრულებებზე ტექნოლოგიური ტრანსფერის შესახებ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული გამონაკლისის წესი კონკრეტული ხელშეკრულების მიმართ მოქმედებს იმ ვადითა და ფარგლებში, რა ვადით და ფარგლებშიც იმოქმედებს ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ის სალიცენზიო უფლება, რომელიც ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს.

3. სალიცენზიო ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული ნოუ ჰაუს შემთხვევაში, გამონაკლისის წესი მოქმედებს მანამ, სანამ ნოუ ჰაუს შენარჩუნდება საიდუმლოდ. იმ შემთხვევაში, თუ საიდუმლოება დაირღვა ნოუ ჰაუს მიმღების მხრიდან, გამონაკლისის წესი მოქმედებს ხელშეკრულების დადების ვადით.

4. პირველი პუნქტით დადგენილი გამონაკლისი ვრცელდება ასევე, იმ პროდუქტებზეც, რომლებიც წარმოადგენს ხელშეკრულების საგანს იმ მიზეზით, რომ მათი გადაცემის გარეშე შეუძლებელია სალიცენზიო პირობებისა და სალიცენზიო ხელშეკრულების მიზნის მიღწევა.

მუხლი 14. ტექნოლოგიური ტრანსფერის შესახებ ხელშეკრულების გამონაკლისისადმი მიკუთვნების აკრძალვა

ტექნოლოგიური ტრანსფერის შესახებ ხელშეკრულება არ შეიძლება ჩაითვალოს ამ დადგენილების მე-13 მუხლით გათვალისწინებულ გამონაკლისად, თუ (პირდაპირ ან ირიბად):

ა) კონკურენტი ეკონომიკური აგენტებიდან რომელიმეს ერთმევა შესაძლებლობა, მოახდინოს პროდუქციის ფასის ფორმირება საკუთარი შეხედულებისამებრ, რაც არ მოიცავს მაქსიმალური ფასის დაწესების ან ფასის რჩევის შემთხვევას, არაკონკურენტ ეკონომიკურ აგენტებთან მიმართებით;

ბ) კონკურენტი ეკონომიკური აგენტებიდან რომელიმეს ერთმევა კვლევებისა და განვითარების სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი შეზღუდვა უზრუნველყოფს ლიცენზირებული ნოუ ჰაუს დაცვას;

გ) ეკონომიკურ აგენტს ეზღუდება სამოქმედო არეალი გეოგრაფიული, სამომხმარებლო და მიწოდების წყაროების ნიშნით.

მუხლი 15. ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილის ცნება ტექნოლოგიური ტრანსფერის შესახებ ხელშეკრულებებისათვის

1. თუ ხელშეკრულ მხარეებს წარმოადგენენ კონკურენტი ეკონომიკური აგენტები, ამ დადგენილების მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი განისაზღვრება შესაბამისი ბაზრის 20%-ით, ხელშეკრულების მონაწილე ეკონომიკური აგენტებისათვის ერთობლივად.

2. თუ ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ არაკონკურენტი ეკონომიკური აგენტები, ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი განისაზღვრება შესაბამისი ბაზრის 30%-ით, ხელშეკრულების მონაწილე თითოეული აგენტისთვის.

3. ეკონომიკური აგენტის წილი შესაბამის ბაზარზე ითვლება უკანასკნელი საფინანსო წლის მონაცემებით.

თავი V

ხელშეკრულებები სპეციალიზაციის შესახებ

მუხლი 16. სპეციალიზაციის ხელშეკრულების ცნება

1. ამ დადგენილებით განსაზღვრული სპეციალიზაციის ხელშეკრულებები შეიძლება იყოს როგორც ცალმხრივი, ისე თანმხვედრი სპეციალიზაციის შესახებ.



2. ერთსა და იმავე შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტები ხელშეკრულებით შეიძლება შეთანხმდნენ, რომ ერთ-ერთი მათგანი აწარმოებს, უარს იტყვის წარმოებაზე ან შეისყიდის პროდუქციას ხელშეკრულების მეორე მხარისგან, იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი აწარმოებს და მიაწვდის ამ პროდუქციას პირველს (ცალმხრივი სპეციალიზაცია).

3. ერთსა და იმავე ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტები ხელშეკრულებით შეიძლება შეთანხმდნენ, რომ ურთიერთშენაცვლების პრინციპით აწარმოებენ, უარს იტყვიან წარმოებაზე ან შეისყიდიან ერთმანეთისგან სხვადასხვა პროდუქციას, იმ პირობით, რომ მეორე მხარე აწარმოებს და მიაწვდის პირველს იმ პროდუქციას, რომლის წარმოებაზეც ამ უკანასკნელმა უარი თქვა, ან რომლის მეორე მხარისგან შესყიდვაზეც მზაობა გამოთქვა (თანმხვედრი სპეციალიზაცია).

მუხლი 17. სპეციალიზაციის ხელშეკრულებათა გამონაკლისისადმი მიკუთვნება

1. კანონის მე-7 მუხლით დაწესებული აკრძალვები არ ვრცელდება სპეციალიზაციის ხელშეკრულებებზე, თუ ისინი ამავდროულად აკმაყოფილებს ამ დადგენილების მე-4 მუხლითა და ამ თავით გათვალისწინებულ წინაპირობებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისით სარგებლობა ეკონომიკურ აგენტებს შეუძლიათ იმ შემთხვევაში, თუ მათ შორის დადებული სპეციალიზაციის ხელშეკრულების ფარგლებში მხარეები:

ა) იმ პროდუქციასთან მიმართებით, რომელიც ხელშეკრულების საგანია, თანახმანი არიან, იყვნენ მხოლოდ მიმწოდებელი, ან მხოლოდ მიმღები;

ბ) მოახდენენ სპეციალიზაციის საგნის (პროდუქტის) არა ცალმხრივ, არამედ ერთობლივ რეალიზაციას.

მუხლი 18. სპეციალიზაციის ხელშეკრულებათა გამონაკლისისადმი მიკუთვნების გამომრიცხავი გარემოებები

1. სპეციალიზაციის ხელშეკრულება არ მიეკუთვნება ამ დადგენილების მე-17 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ გამონაკლისს, თუ ის პირდაპირ ან არაპირდაპირ ან იმ გარემოებებიდან გამომდინარე, რომლებზე ზემოქმედებაც მხარეებს შეუძლიათ, მიზნად ისახავს:

ა) მესამე პირებზე პროდუქციის მიყიდვის ფასის დადგენას;

ბ) ბაზრების ან მომხმარებელთა ჯგუფების გადანაწილებას.

2. ამ დადგენილების მე-17 მუხლით მინიჭებული უფლებით ვერ ისარგებლებენ ის ეკონომიკური აგენტები, რომელთა შორის სპეციალიზაციის შესახებ ხელშეკრულება იდება დაუზუსტებელი ვადით, ან დაზუსტებული ვადის შემთხვევაში, 5 წელზე მეტი ვადით.

მუხლი 19. ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი სპეციალიზაციის ხელშეკრულებებისათვის

1. ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი სპეციალიზაციის ხელშეკრულებებისათვის შეადგენს შესაბამისი ბაზრის 20%-ს.

2. ეკონომიკურ აგენტებს ამ დადგენილების მე-17 მუხლის პირველი პუნქტით დაწესებული გამონაკლისის წესით შეუძლიათ ისარგებლონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი ერთობლივი წილი შესაბამის ბაზარზე არ აღემატება 20%-ს.

თავი VI

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 დეკემბრის დადგენილება №463 - ვებგვერდი, 30.12.2024წ.

კვლევისა და განვითარების შესახებ შეთანხმება



მუხლი 20. კვლევისა და განვითარების შესახებ შეთანხმებების გამონაკლისებისადმი მიკუთვნება

1. კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული აკრძალვა არ ვრცელდება ეკონომიკურ აგენტებს შორის კვლევისა და განვითარების შესახებ შეთანხმებებზე, თუ ისინი აკმაყოფილებენ ამ თავის პირობებს.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისი ასევე ვრცელდება კვლევისა და განვითარების შესახებ შეთანხმებებზე, რომლებიც მოიცავენ დებულებებს ერთი ან რამდენიმე მხარის ინტელექტუალური უფლებების გადაცემის ან ლიცენზირების შესახებ ან მხარეთა შექმნილი ორგანიზაციის მიერ ერთობლივი ან დაკვეთით კვლევისა და განვითარების ან მიღებული შედეგების ერთობლივი გამოყენებისათვის, იმ პირობით, რომ ეს დებულებები პირდაპირ არის დაკავშირებული და აუცილებელია შეთანხმების განსახორციელებლად, თუმცა არ წარმოადგენს შეთანხმების ძირითად მიზანს.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 დეკემბრის დადგენილება №463 - ვებგვერდი, 30.12.2024წ.

მუხლი 21. წვდომა კვლევისა და განვითარების საბოლოო შედეგებზე

1. ამ დადგენილების მე-20 მუხლით დადგენილი გამონაკლისი გამოიყენება ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
2. კვლევისა და განვითარების შესახებ შეთანხმება უნდა ითვალისწინებდეს, რომ ყველა მხარეს ჰქონდეს სრული წვდომა ერთობლივი ან დაკვეთით კვლევისა და განვითარების საბოლოო შედეგებზე შემდგომი კვლევისა და განვითარების მიზნებისათვის, აგრეთვე მათი გამოყენების მიზნებისათვის.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წვდომა უნდა მოიცავდეს ინტელექტუალური საკუთრების ნებისმიერ უფლებასა და ნოუ-ჰაუსს.
4. თუ კვლევისა და განვითარების შესახებ შეთანხმება ითვალისწინებს, რომ მხარეები ანაზღაურებენ ერთმანეთის შემდგომი კვლევისა და განვითარების ან გამოყენების მიზნებისთვის შედეგებზე წვდომას, კომპენსაცია არ უნდა იყოს იმდენად მაღალი, რომ შეაფერხოს ამგვარი წვდომა.
5. კვლევითი ინსტიტუტები, აკადემიური ორგანიზაციები ან ეკონომიკური აგენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ კვლევასა და განვითარებას, როგორც კომერციულ მომსახურებას და რომლებიც, ჩვეულებრივ, არ არიან ჩართულნი შედეგების გამოყენებაში, შეიძლება, შეთანხმდნენ, რომ შეზღუდონ შედეგების გამოყენება შემდგომი კვლევისა და განვითარების მიზნებისთვის.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 დეკემბრის დადგენილება №463 - ვებგვერდი, 30.12.2024წ.

მუხლი 22. წვდომა წინასწარ არსებულ ნოუ-ჰაუსზე

1. თუ კვლევისა და განვითარების შესახებ შეთანხმება არ ითვალისწინებს შედეგების ერთობლივ გამოყენებას, ამ დადგენილების მე-20 მუხლით დადგენილი გამონაკლისი მოქმედებს ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილი პირობების შესაბამისად.
2. შეთანხმება უნდა ითვალისწინებდეს, რომ თითოეულ მხარეს ექნება წვდომა ერთმანეთის ნებისმიერ წინასწარ არსებულ ნოუ-ჰაუსზე, თუკი ეს აუცილებელია შედეგების გამოყენებისათვის.
3. თუ შეთანხმება ითვალისწინებს, რომ მხარეები ერთმანეთს გადაუხდიან კომპენსაციას წინასწარ არსებულ ნოუ-ჰაუსზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, კომპენსაციის ოდენობა არ უნდა იყოს იმდენად მაღალი, რომ შეაფერხოს ამგვარი წვდომა.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 დეკემბრის დადგენილება №463 - ვებგვერდი, 30.12.2024წ.

მუხლი 22¹. კვლევისა და განვითარების შედეგების ერთობლივი გამოყენება

1. ამ დადგენილების მე-20 მუხლით დადგენილი გამონაკლისი გამოიყენება იმ პირობით, რომ



ნებისმიერი ერთობლივი გამოყენება ეხება მხოლოდ იმ შედეგს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს ერთობლივად:

ა) შედეგები აუცილებელია სახელშეკრულებო საქონლის წარმოებისთვის ან სახელშეკრულებო ტექნოლოგიების გამოყენებისთვის;

ბ) შედეგები დაცულია ინტელექტუალური საკუთრების უფლებებით ან წარმოადგენს ნოუ-ჰაუსს.

2. თუ ერთ ან მეტ მხარეს ევალუება სახელშეკრულებო საქონლის წარმოება წინასწარ განსაზღვრული პირობებით, ამ დადგენილების მე-20 მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულების მხარეებმა უნდა შეასრულონ სხვა ეკონომიკური აგენტების მოთხოვნები სახელშეკრულებო საქონლის მიწოდებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახეზეა ქვემოჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი:

ა) კვლევისა და განვითარების ხელშეკრულება ასევე ითვალისწინებს, რომ დისტრიბუცია განხორციელდება ერთობლივი გუნდის, ორგანიზაციის ან ეკონომიკური აგენტის მიერ ან ერთობლივად დაევალება მესამე მხარეს;

ბ) მხარეები თანხმდებიან, რომ სახელშეკრულებო საქონლის დისტრიბუციის უფლება აქვს მხოლოდ იმ მხარეს, რომელიც ამ საქონელს აწარმოებს.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 დეკემბრის დადგენილება №463 - ვებგვერდი, 30.12.2024წ.

მუხლი 22². ბაზრის წილის ზღვრები და გამონაკლისის ხანგრძლივობა კვლევისა და განვითარების შესახებ შეთანხმებებისთვის

1. თუ ორი ან მეტი მხარე წარმოადგენს კონკურენტეკონომიკურ აგენტს, ამ დადგენილების მე-20 მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისი გავრცელდება კვლევისა და განვითარების შესახებ შეთანხმების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში, თუ შეთანხმების დადების დროს მხარეთა საერთო საბაზრო წილი შესაბამის სასაქონლო და ტექნოლოგიების შესაბამის ბაზრებზე არ აღემატება 25%-ს.

2. თუ მხარეები არ წარმოადგენენ კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს, ამ დადგენილების მე-20 მუხლით დადგენილი გამონაკლისი გავრცელდება კვლევისა და განვითარების შეთანხმების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში.

3. იმ კვლევისა და განვითარების შეთანხმებებისთვის, სადაც შედეგები ერთობლივად გამოიყენება, ამ დადგენილების მე-20 მუხლით დადგენილი გამონაკლისი გავრცელდება 7 წლის განმავლობაში სახელშეკრულებო საქონლის ან ტექნოლოგიების შიდა ბაზარზე პირველი განთავსების დღიდან.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 დეკემბრის დადგენილება №463 - ვებგვერდი, 30.12.2024წ.

მუხლი 22³. კვლევისა და განვითარების შესახებ შეთანხმებების გამონაკლისებისადმი მიკუთვნების გამორიცხვა (მძიმე ფორმის შეზღუდვები)

ამ დადგენილების მე-20 მუხლში მითითებული გამონაკლისი არ ვრცელდება კვლევისა და განვითარების შესახებ შეთანხმებებზე, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ცალკე ან მხარეთა კონტროლს დაქვემდებარებულ სხვა ფაქტორებთან ერთად, მიზნად ისახავს შემდეგ შეზღუდვებს:

ა) მხარეთა თავისუფლების შეზღუდვა, განახორციელონ კვლევა და განვითარება დამოუკიდებლად ან მესამე პირებთან თანამშრომლობით, კერძოდ:

ა.ა) იმ სფეროში, რომელიც არ არის დაკავშირებული კვლევისა და განვითარების ხელშეკრულების სფეროსთან;

ა.ბ) ერთობლივი ან დაკვეთით კვლევისა და განვითარების დასრულების შემდგომ იმ სფეროში, რომელსაც ეხება კვლევისა და განვითარების ხელშეკრულება ან მასთან დაკავშირებულ სფეროში;



ბ) წარმოების ან გაყიდვების შეზღუდვა, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

ბ.ა) წარმოების მიზნების დადგენა, სადაც შედეგების ერთობლივი გამოყენება მოიცავს სახელშეკრულებო საქონლის ერთობლივ წარმოებას;

ბ.ბ) გაყიდვების მიზნების დადგენა, როდესაც შედეგების ერთობლივი გამოყენება:

ბ.ბ.ა) მოიცავს სახელშეკრულებო საქონლის ერთობლივ დისტრიბუციას ან სახელშეკრულებო ტექნოლოგიების ერთობლივ ლიცენზირებას;

ბ.ბ.ბ) ხორციელდება ერთობლივი გუნდის, ორგანიზაციის ან ეკონომიკური აგენტის მიერ ან ერთობლივად გადაეცემა მესამე მხარეს;

ბ.გ) მხარეთა თავისუფლების შეზღუდვა, აწარმოონ, გაყიდონ, გადასცენ ან განახორციელონ იმ საქონლის, ტექნოლოგიების ან პროცესების ლიცენზირება, რომლებიც კონკურენციას უწევს სახელშეკრულებო საქონელს ან ტექნოლოგიებს იმ პერიოდის განმავლობაში, რომლის დროსაც მხარეები შეთანხმდნენ შედეგების ერთობლივი გამოყენების შესახებ;

გ) სახელშეკრულებო საქონლის გაყიდვის ან მესამე მხარისათვის სახელშეკრულებო ტექნოლოგიების ლიცენზირების ფასების ფიქსირება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფასების ფიქსირება ეხება უშუალო მომხმარებლებს ან ლიცენზიის საფასურის დაწესება ხდება უშუალო ლიცენზიანტებისთვის, თუ შედეგების ერთობლივი გამოყენება:

გ.ა) მოიცავს სახელშეკრულებო საქონლის ერთობლივ დისტრიბუციას ან სახელშეკრულებო ტექნოლოგიების ერთობლივ ლიცენზირებას; და

გ.ბ) ხორციელდება ერთობლივი გუნდის, ორგანიზაციის ან ეკონომიკური აგენტის მიერ, ან ერთობლივად არის გადაცემული მესამე მხარისათვის;

დ) ითვალისწინებს მხარეთა ტერიტორიულ შეზღუდვას ან იმ მომხმარებელთა შეზღუდვას, რომლებსაც შეუძლიათ პასიურად შეიძინონ სახელშეკრულებო საქონელი ან მიიღონ სახელშეკრულებო ტექნოლოგიების ლიცენზია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კვლევისა და განვითარების შედეგების ექსკლუზიური ლიცენზირება სხვა მხარისთვის სავალდებულოა;

ე) მოიცავს მოთხოვნას, უარი თქვას მხარეთა შესაბამის ტერიტორიებზე მდებარე მომხმარებელთა ან გამოყენების კონტექსტში სპეციალიზაციის შედეგად მხარეებს შორის სხვაგვარად განაწილებული მომხმარებლის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, იმ შემთხვევაში, თუ ასეთი მომხმარებლები ყიდიან სახელშეკრულებო საქონელს სხვა ტერიტორიებზე, შიდა ბაზრის ფარგლებში;

ვ) ითვალისწინებს მოთხოვნას, რომ მომხმარებლებს ან გადამყიდველებს გაურთულდეთ სახელშეკრულებო საქონლის მიღება ბაზრის სხვა გადამყიდველებისგან.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 დეკემბრის დადგენილება №463 - ვებგვერდი, 30.12.2024წ.

მუხლი 22⁴. კვლევისა და განვითარების შესახებ შეთანხმების გამონაკლისისადმი მიკუთვნების გამომრიცხავი სხვა გარემოებები

1. ამ დადგენილების მე-20 მუხლში მითითებული გამონაკლისი არ ვრცელდება კვლევისა და განვითარების შესახებ შეთანხმებებში არსებულ შემდეგ ვალდებულებებზე:

ა) ვალდებულება, არ გაასაჩივროს:

ა.ა) სამეცნიერო კვლევისა და განვითარების დასრულების შემდეგ ინტელექტუალური უფლებების ნამდვილობა, რომლებიც მხარეებს გააჩნიათ ბაზარზე და დაკავშირებულია კვლევისა და განვითარებისათვის; ან



ა.ბ) კვლევისა და განვითარების ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ნამდვილობა, რომელიც მხარეებს გააჩნიათ ბაზარზე და იცავენ კვლევისა და განვითარების შედეგებს;

ბ) ვალდებულება, არ გასცეს ლიცენზიები მესამე პირებზე სახელშეკრულებო საქონლის წარმოების ან სახელშეკრულებო ტექნოლოგიების გამოყენებისათვის, თუ ხელშეკრულება არ ითვალისწინებს ერთობლივი ან დაკვეთით კვლევისა და განვითარების შედეგების გამოყენებას ერთი ან მეტი მხარის მიერ და ამგვარ გამოყენებას ბაზარზე ადგილი აქვს მესამე პირებთან მიმართებით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი არ ზღუდავს შესაძლებლობას, ითვალისწინებდეს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების შესახებ შეთანხმების შეწყვეტას, იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მხარე გაასაჩივრებს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა“ და „ა.ბ“ ქვეპუნქტებში მითითებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ნამდვილობას.

3. თუ კვლევისა და განვითარების შესახებ შეთანხმება შეიცავს ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული გამონაკლისის გამოძრინებას რომელიმე გარემოებას, ამ დადგენილების მე-20 მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისი კვლავაც ვრცელდება კვლევისა და განვითარების შესახებ შეთანხმების დარჩენილ ნაწილზე, იმ პირობით, რომ გამონაკლისის გამოძრინება გარემოებები შეიძლება, გამოეყოს დარჩენილ ნაწილს და, ამავდროულად, ამ დადგენილების სხვა პირობები დაკმაყოფილებულია.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 დეკემბრის დადგენილება №463 - ვებგვერდი, 30.12.2024წ.

თავი VII

გარდამავალი დებულებანი

მუხლი 23. დადგენილების მოქმედების ვადა

1. დადგენილების მოქმედება ვრცელდება იმ შეთანხმებებზე, რომლებიც დაიდება 2027 წლის 31 დეკემბრამდე.

2. დადგენილების მოქმედება ვრცელდება მის ძალაში შესვლამდე დადებულ შეთანხმებებზე.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული შეთანხმებებისთვის, ამ დადგენილებით გათვალისწინებული ერთობლივი შემოსავლისა და ბაზრის წილის ზღვრული ოდენობების გადაჭარბების შემთხვევაში, ამ გადაჭარბების გამოვლენის თარიღად ითვლება დადგენილების ძალაში შესვლის დრო.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ნოემბრის დადგენილება №661 – ვებგვერდი, 05.11.2020წ.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 20 დეკემბრის დადგენილება №582 – ვებგვერდი, 21.12.2022წ.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 დეკემბრის დადგენილება №463 - ვებგვერდი, 30.12.2024წ.

